საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-5/10856
31/10/2022

10856-15-5-2-202210310909

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ვასილ მშვენიერაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

ბატონო ვასილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა [redacted] განცხადება და თანდართული მასალები. მოცემულ ეტაპზე, მსჯავრდებულ [redacted] ადმინისტრაციულ სარჩელს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მსჯავრდებულ [redacted] მიუხედავად დადებითი დახასიათებისა, დარღვევების არარსებობისა, უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია როგორც უშუალოდ მსჯავრდებულის უფლებრივი მდგომარეობის, ისე სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებისთვის მსგავსი საკითხის გადაწყვეტისას.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი“.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია

საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16[1] მუხლის პირველი თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ვიყენებ რა საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებულ უფლებამოსილებას, მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ ირაკლი კერესელიძის ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით. მოცემული წერილობითი მოსაზრების მიზანია არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ სასამართლოს დახმარება ადამიანის უფლებათა სტანდარტით და გათვალისწინებით, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.

ფაქტობრივი გარემოებები:

მსჯავრდებულ [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.[1] გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

განაჩენი/სასჯელი - [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (თაღლითობა დიდი ოდენობით) და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შენახვა გამოყენების მიზნით, არაერთგზის) და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2017 წლის 6 თებერვლიდან.[2] ამნისტიის გამოყენებით, სასჯელი შეუმცირდა 75 დღით. სასჯელის დასრულების თარიღია - 2024 წლის 24 ნოემბერი, 2/3 მოხდის თარიღი - 2022 წლის 16 აპრილი.[3]

სასჯელის მოსახდელად ბრძანებებით განესაზღვრა შემდეგი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები: 2017 წლის 2 ნოემბერს - დახურული ტიპის დაწესებულება, 2018 წლის 19 მარტს - ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება და N8 პენიტენციური დაწესებულებიდან გადაიყვანეს N15 დაწესებულებაში; 2018 წლის 30 აპრილს - N15 დაწესებულებიდან N8 დაწესებულებაში; 2020 წლის 31 აგვისტოს - N8 დაწესებულებიდან N12 დაწესებულებაში, ხოლო 2020 წლის 1 სექტემბერს - N12 პენიტენციური დაწესებულებიდან N8 დაწესებულებაში.

წახალისებულია: 2018 წლის 15 თებერვალს, 2018 წლის 14 ივნისს, 2019 წლის 1 აგვისტოს, დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება მიენიჭა. მსჯავრდებული არ არღვევს დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლების და სხვა მსჯავრდებულების მიმართ არ არის კონფლიქტური და

---

[1] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის N01/22-0353 გადაწყვეტილება.

[2] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი.

[3] 2022 წლის 14 აპრილის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი.

აგრესიული. აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მსჯავრდებული გამოთქვამს სურვილს მიიღოს მონაწილეობა, არის მოტივირებული.

დაზარალებულის პოზიცია: ჯარიმა არ დაკისრებია და როგორც მსჯავრდებული აღნიშნავს, დაზარალებულს არ აქვს პრეტენზია.

გათავისუფლების შემდეგ - იცხოვრებს მითითებულ მისამართზე, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მსჯავრდებული დაუბრუნდება ოჯახს და იმუშავებს პროფესიით.

წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები - 1996 წელს[4] - დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე, 19,190-ე, 104-ე მუხლებით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლის[5] ვადით. ასევე, გასამართლებულია 2003 წელს[6] - საბოლოოდ, სასჯელი ამნისტიის[7] გამოყენებით ¼-ით შეუმცირდა[8] და პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2013 წლის 27 იანვარს. იმავე წელს, მოეხსნა ნასამართლობა.[9] 2014 წელს[10] - ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის და 6 თვის ვადით (რეალური 1 წელი, 6 თვე პირობითი, 1 წლის გამოსაცდელი ვადით). პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2015 წლის 28 აპრილს სასჯელის მოხდით.

ფსიქოლოგის დახასიათებით - ბენეფიციართან მიმართებაში ე.წ. რისკ-ფაქტორთა არსებობის საკითხი არააქტუალურია[11]; დამცავი ფაქტორებია: პროფესიული კომპეტენცია - უმაღლესი იურიდიული განათლება, მაგისტრის ხარისხი, იყო იურიდიული კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, ფლობს ინგლისურ ენას. რაც შეეხება „ადამიანურ", ზნეობრივ პროფილს: მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, ოჯახთან, შვილთან დამოკიდებულება, შრომისმოყვარეობა; საქმიან ბაზარზე მისი პერსონა აშკარად კონკურენტულად გამოიყურება - ბენეფიციარის ნარატივიდან ეს დასკვნა

---

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1996 წლის 24 მაისის განაჩენი.
[5] საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის ბრძანებულება.
[6] გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 თებერვლის განაჩენი.
[7] 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი.
[8] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 იანვრის განჩინება.
[9] საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 25 ოქტომბრის განკარგულება.
[10] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 2 სექტემბრის განაჩენი.
[11]თუ რისკად ჩაითვლება პირადად მისთვის დამაზიანებელი გარემოება ან პიროვნული თვისება თუ თავისებურება, რომელიც ამ გარემოებათა წარმომობას ხელს უწყობს და მისთვის რომელიმე, თუნდაც მოცემულ, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც აშკარად წამგებიანი აღმოჩნდა.

ძალდაუტანებლად შეიძლება გაკეთდეს.[12] დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან - დანაშაულს აღიარებს.[13]

საბჭო გაეცნო ყველა ზემოხსენებულ გარემოებას, თუმცა გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჩადენილია დანაშაულთა ერთობლიობა: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - თაღლითობა დიდი ოდენობით და ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება. ასევე, აღნიშნა მსჯავრდებულის მხრიდან წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები და მონაწილეობა არ აქვს მიღებული არცერთ სოციალურ აქტივობაში. საკითხის განხილვისას განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია დანაშაულის ხასიათმა სიმძიმემ და წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებმა. საბჭომ მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გაბათილდა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.

საგულისხმოა, რომ განაჩენის მიხედვით, [redacted] თაღლითურად დაეუფლა კომპანიის შპს „[redacted]“ (დირექტორი [redacted] კუთვნილ 60 000 აშშ დოლარს. სასამართლოს გადაწყვეტილებით,[14] არ დაკმაყოფილდა [redacted] სარჩელი, სადაც აღნიშნული იყო [redacted] დამნაშავედ ცნობის ფაქტზე დაზარალებულ [redacted] თაღლითური გზით ფულადი თანხის 60 000 აშშ დოლარის დაუფლებაზე და [redacted] ხსენებული თანხის გადახდის დაკისრება იყო. მსჯავრდებულის მიერ აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ხსენებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.[15]

სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კანონმდებლობა

---

[12] დამატებითი კომენტარი: საუბრის მანერა, ჯანსაღ გონივრული ხედვა და ადამიანებში გარკვეულობა, ცოდნა, პროფესიონალიზმი, გულწრფელი მოქალაქეობრივი პათოსი აშკარად აღძრავს მოსაზრებას, რომ ქვეყანამ მისი სახით არ უნდა დაკარგოს და შეინარჩუნოს საჭირო და სოციალურად ღირებული ადამიანური რესურსი. პროფესიული მიდგომა გვიბიძგებს, რომ საწინააღმდეგო ვარაუდიც დავუშვათ, რომ პოზიტიური იმიჯი, რომელიც თვით ბენეფიციარის პიროვნული პოზიციის გაჟღერებისა და მოტივირების ნიადაგზე შეიქმნა, არ არის მოკლებული თეატრალობას, შეწყალების თხოვნის ფონზე მაინც არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს, რის გამოც თხოვნა შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული. პიროვნული ხასიათი დინამიკამიც მყარი, პოზიტიური ტენდენციალობით გამოირჩევა, რომლის ბოროტი განზრახვით იმიტირება საკმაოდ ძნელია, ჩვენს შემთხვევაში კი - ნაკლებად სავარაუდო.

[13] მსჯავრდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა და ბრალს არ აღიარებდა. დახასიათება დაწერილია 2019 წლის 15 იანვარს ფსიქოლოგის მიერ, რომელშიც შეიცვალ მხოლოდ დანაშაულის აღიარების საკითხი, კერძოდ, 2021 წლის 24 სექტემბერს, [redacted] გაეწია პირველადი კონსულტაცია. მისივე მოთხოვნით დახასიათებაში ცვლილებებთან დაკავშირებით ფსიქოლოგის მიერ. ბენეფიციარი აღნიშნავს, რომ სურს ერთი ცვლილების შეტანა, რომ დანაშაულს აღიარებს.

[14]თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიხედვით, 2019 წლის 25 თებერვლის მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელი არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი უცნობებია სასამართლოსთვის.

[15] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 მარტის N5445231 წერილით [redacted] ეცნობა, რომ ეგზავნება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული N2/32122-18 დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დამოწმებული გერბიანი ბეჭდით.

საქართველოს კონსტიტუციის[16] თანხმად, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შემსუბუქების სხვა წესი განისაზღვრება კანონით.

კანონით, სასჯელის სახით ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული პირი (განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის გარდა) შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.[17] მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ფაქტობრივად მოიხადა მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.[18]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 6-9 წლამდე ვადით, ხოლო 363-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული - თავისუფლების აღკვეთით 3-6 წლამდე ვადით. შესაბამისად, ხსენებული დანაშაულები მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.[19] ამდენად, დანიშნული სასჯელის 2/3-ის მოხდის შემდეგ სავალდებულოა[20] პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა.

საბჭო განხილვისას ითვალისწინებს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.[21] საბჭოს განხილვა ტარდება ზეპირი მოსმენით ან/და ზეპირი მოსმენის გარეშე, ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. ზეპირი მოსმენის გარეშე საბჭო შეფასების კრიტერიუმების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის, ან საქმის ზეპირ მოსმენაზე განსახილველად დაშვების, ან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. გადაწყვეტილებაში აღინიშნება საქმის ძირითადი გარემოებები და მსჯავრდებულის რეკვიზიტები.[22]

---

[16] საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[17] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

[19] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი: „მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით."

[20] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი: თუ მსჯავრდებულმა (საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულის გარდა) ფაქტობრივად მოიხადა პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა .

[21] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-4 ნაწილი.

[22] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

კანონქვემდებარე აქტით დეტალურადაა აღწერილი შეფასების კრიტერიუმები და ყურადღებამისაქცევი გარემოებები[23]:

- დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები და ვითარება, ჩადენილია თუ არა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;
- მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებების რაოდენობა და სახე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო, დაწესებულების დებულების, დღის განრიგის, მოვალეობების შესრულებისა და სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი;
- ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
- მსჯავრდებულის პიროვნება – დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდისას სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოს გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა სხდომის გამართვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.[24] გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.[25] პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.[26]

პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულს შეიძლება დაეკისროს კანონით[27] გათვალისწინებული მოვალეობა, რომელიც მან უნდა შეასრულოს სასჯელის მოუხდელი

---

[23] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტები.

[24] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

[25] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების დანართის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[26] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-6 ნაწილი.

[27] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა შეიძლება იყოს შემდეგი მოვალეობის შესრულება: ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩაიბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ

ნაწილის ვადაში.[28] საბჭო უფლებამოსილია პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში მიმართოს სააგენტოს რეკომენდაციით მსჯავრდებულისათვის დამატებითი პირობების განსაზღვრის თაობაზე.[29]

პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო.[30] სასჯელის მოუხდელ ვადაში[31] თუ მსჯავრდებულმა: ჯიუტად (სისტემატურად ან/და უხეშად[32]) თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, შესაძლებელია გაუქმდეს პირობით ვადამდე გათავისუფლება და აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი; თუ გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა - პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; ხოლო თუ განზრახი დანაშაული ჩაიდინა - სასამართლო დაუნიშნავს მას სასჯელს კანონით გათვალისწინებული წესით.

საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, პირობით ვადამდე გათავისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მათი განხორციელების წესი და მსჯელობა მიეკუთვნება სახელმწიფოების უფლებამოსილებას.[33] სახელმწიფოს არჩევანი კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სისტემის სასარგებლოდ, მათ შორის, სასჯელის გადახედვისა თუ ვადამდე გათავისუფლების საკითხებზე, ხვდება ევროპული სასამართლოს ზედამხედველობის სფეროს მიღმა იმ პირობით, რომ სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციით დადგენილ პრინციპებს.[34]

მართალია, დასჯა თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი მიზანია, თუმცა ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უკვე აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე.[35] ასევე, დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია წარმოადგენს საპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ

მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი. შესაძლებელია სხვა მოვალეობის დაკისრებაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

[28] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[29] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

[30] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის მე-4 ნაწილი.

[31] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა"-„გ" ქვეპუნქტები, საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-40 მუხლის მე-5 ნაწილის „ა"-„გ" ქვეპუნქტები.

[32] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოვალეობის შესრულებისთვის ჯიუტად თავის არიდებაზე მიუთითებს, ხოლო საქართველოს პატიმრობის კოდექსი - სისტემატურად ან/და უხეშად.

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Kafkaris v. Cyprus, განაცხადი N21906/04 §151.

[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others V. UK განაცხადები N 66069/09, 130/10 and 3896/10) პარ. 103.

[35] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 115.

„უმთავრეს ფუნქციას".[36] მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ იძლევა გარანტიას - რეაბილიტაციის უფლებას, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აცხადებს, რომ მსჯავრდებულებს, მათ შორის უვადო პატიმრებს, უნდა შეეძლოთ რეაბილიტაცია[37] და, ასევე, უნდა ჰქონდეთ გათავისუფლების პერსპექტივა რეაბილიტაციის გავლის შემდეგ.[38] იმ გარემოებებში, როდესაც მთავრობა ცდილობს დაეყრდნოს მხოლოდ დამნაშავეების მიერ საზოგადოების წინაშე არსებულ რისკს, რათა გაამართლოს მათი პატიმრობა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დამნაშავეთა რეაბილიტაციის წახალისების საჭიროება. ხოლო რეაბილიტაციის ერთ-ერთი მიზანია ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ამით საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფა.[39]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ[40] უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულის საქმის განხილვისას შეაჯამა და ჩამოაყალიბა ზოგადი პრინციპები, რომელიც გონივრულად არანაკლებ რელევანტურია ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი პატიმრებისთვისაც:

- თავისუფლების აღკვეთის ლეგიტიმური საფუძვლებია: დასჯა, შეკავება, საზოგადოების უსაფრთხოება და რეაბილიტაცია;
- [უვადო] თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვა უნდა გულისხმობდეს საკითხების განხილვას: არის თუ არა პატიმრის ცხოვრებაში რაიმე ცვლილება და აღნიშნება თუ არა რეაბილიტაციისკენ პროგრესი; და არის თუ არა ეს ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანი, რომ თავისუფლების აღკვეთის გაგრძელება აღარ იყოს გამართლებული ლეგიტიმური მიზნებით;
- შეფასება უნდა ეფუძნებოდეს წესებს, რომლებსაც აქვთ საკმარისი სიცხადე და უტყუარობა;
- ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პირობები უნდა შეესაბამებოდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
- შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ, წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს;
- უნდა განიხილებოდეს რელევანტური ინფორმაცია;
- განხილვა უნდა ითვალისწინებდეს საკმარის საპროცესო გარანტიებს;
- რამდენადაც საჭიროა პატიმარმა იცოდეს, რა უნდა გააკეთოს გათავისუფლების განხილვისთვის და რა პირობებით, საჭიროა მიზეზების დადგენა, დასაბუთება; დაცული უნდა იყოს სასამართლო განხილვის ხელმისაწვდომობა.

---

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 108.

[37] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 103.

[38] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 114.

[39] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 102.

[40] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 100.

ევროპული ციხის წესების[41] თანახმად, ყველა პატიმარს უნდა გაეწიოს შეღავათი მათი მომზადებისას გათავისუფლების შემდგომ თავისუფალ საზოგადოებაში დასაბრუნებლად; მისჯილ პატიმრებს უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურებსა და სპეციალურ პროგრამებში, რომელიც დაეხმარება მათ მოახდინონ ტრასფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან სამართალმორჩილი ცხოვრებისაკენ ნორმალურ საზოგადოებაში; იმ პატიმართა შემთხვევაში რომლებიც დიდი ვადით რჩებიან ციხეში, მიღებული უნდა იქნას ზომები რომლებიც თანდათანობით მოახდენს მათ დაბრუნებას თავისუფალ, ჩვეულებრივ საზოგადოებაში; ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას ციხეებში გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობით, ან ნაწილობრივ ან პირობითი გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ ძლიერ სოციალურ დახმარებასთან კომბინაციაში.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების[42] თანახმად, სასურველია რომ სასჯელის ვადის დასრულების წინ მიღებულ იქნას ზომები პატიმრის თანდათანობითი დაბრუნებისათვის საზოგადოებაში. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თითოეული სამართალდამრღვევის თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებული რეჟიმის შემუშავების გზით თვით ციხეში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში. ასევე, პატიმრის გათავისუფლების საცდელი ვადით, რომლის განმავლობაშიც ისინი ჯერაც ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, იმ პირობით, რომ ამგვარი ზედამხედველობა არ ევალება პოლიციას და იგი შერწყმულია ეფექტურ სოციალურ დახმარებასთან.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის[43] თანახმად:

- პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის და კრიტერიუმების შესახებ უნდა იცოდნენ პატიმრებმა[44] და ამ უფლების მისაღებად მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა უნდა განისაზღვროს კანონით[45]; ასევე, კრიტერიუმები, უნდა იყოს მკაფიო და რეალისტური იმ თვალსაზრისით, რომ უნდა გაითვალისწინოს პატიმართა პიროვნული, სოციალური და ეკონომიკური გარემოებები, პროგრამების ხელმისაწვდომობა[46];
- უზრუნველყოფილია შემდეგი გარანტიებით: მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ პირადად მოსმენისა და იურიდიული დახმარების უფლება; გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ ყურადღებით უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ელემენტი,

---

[41] ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე) პუნქტ. 33.3, 107.1-107.3.

[42] მიღებულ იქნა 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით. წესი 60 (2).

[43] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით გათავისუფლების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრაზე) იხ. <https://rm.coe.int/16800ccb5d> (ბოლოს ნანახია: 3.10.2022 წელს).

[44] იქვე, პუნქტი 5.

[45] იქვე პუნქტები 16 და 22.

[46] იქვე, პუნქტი 18.

მათ შორის მსჯავრდებულთა განცხადებები, მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური წვდომა თავიანთ საქმეზე; გადაწყვეტილებებში უნდა იყოს მითითებული ძირითადი მიზეზები და ეცნობოს წერილობით[47]; გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უნდა ჰქონდეთ ანგარიშები, მათ შორის, ზეპირი განცხადებები ციხეში მომუშავე პერსონალისგან, ვინც იცნობს პატიმრებს და მათ პირად მდგომარეობას[48];

- პირობით გათავისუფლებულ პატიმართა რეციდივის რისკის შესამცირებლად შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური პირობების დაკისრება[49]; პირობით გათავისუფლებას ასევე უნდა ახლდეს ზედამხედველობა, რომელიც შედგება დახმარებისა და კონტროლის ზომებისგან. ზედამხედველობის ბუნება, ხანგრძლივობა და ინტენსივობა უნდა იყოს ადაპტირებული ინდივიდუალურ შემთხვევაზე და დაწესდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში[50];
- მსჯავრდებულებს უნდა შეეძლოთ საჩივრის შეტანა მაღალ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში და ჰქონდეთ პროცედურული გარანტიები; ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჩივრების პროცედურები პირობითი გათავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით[51].

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგები

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის სისტემური ხარვეზები

საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში, მათ შორის, 2014 წელს[52] და 2020 წლის[53] სპეციალურ ანგარიშებში ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკის, მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესწავლის შედეგად გამოვლენილ პრაქტიკულ და საკანონმდებლო ხარვეზებზე.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი საბჭოები გადაწყვეტილებებს არ ასაბუთებენ და არ მიუთითებენ კონკრეტულ მოტივაციაზე, რის გამო ანიჭებენ ერთ კრიტერიუმს უფრო მეტ ყურადღებას და სხვა ნაკლებს. გარდა ამისა, გადაწყვეტილებები არაერთგვაროვანია და საბჭოს მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის მქონე საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოაქვს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მექანიზმის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია დროულად გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა პატიმრები სრულად იყვნენ ორიენტირებულნი სასჯელის მოხდის პერიოდში მათზე დაკისრებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად

---

[47] იქვე, პუნქტი 32.
[48] იქვე, პუნქტი 25.
[49] იქვე, პუნქტი 8.
[50] იქვე, პუნქტები 9 და 10.
[51] იქვე, პუნქტები 33-34.
[52] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა" 2014 წ. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf> (ბოლოს ნანახია: 17.10.2022 წელს).
[53] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში". 2020 წ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> (ბოლოს ნანახია: 17.10.2022 წელს).

შესრულებასა და რესოციალიზაციის პროცესზე, შედეგად კი ჰქონდეთ ამ მექანიზმით ეფექტურად სარგებლობის იმედი.

[redacted] *საქმის შესწავლის შედეგად განხორციელებული რეაგირება*

- ***რისკის დადგენის საკითხი***

2018 წლის 13 მარტს, მსჯავრდებულ [redacted] დაუდგინდა საშიშროების საშუალო რისკი, რომლის საფუძველზე 2018 წლის 19 მარტის ბრძანებით განესაზღვრა სასჯელის მოხდა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში და გადაიყვანეს N15 პენიტენციურ დაწესებულებაში. 2018 წლის 30 აპრილს, N15 პენიტენციური დაწესებულებიდან N8 დაწესებულებაში დააბრუნეს მისი განცხადების საფუძველზე.[54]

- ***N15 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი***

მსჯავრდებული [redacted] მიუთითებდა[55] 2018 წლის 20 მარტიდან 30 აპრილის პერიოდში, N15 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს დაწესებულების ადმინისტრაციის მითითებით სხვა მსჯავრდებულების მხრიდან მის მიმართ არასათანადო მოპყრობის (ფიზიკური ძალადობა და ფსიქოლოგიური ზემოქმედება) განხორციელებაზე იმ მიზნით, რომ სააპელაციო საჩივარზე უარი ეთქვა; ასევე, N15 პენიტენციურ დაწესებულებაში არაფორმალური მმართველობის (დაწესებულების ადმინისტრაციის და ე.წ. „მაყურებლების" მიერ მართვა)[56].

მსჯავრდებულ [redacted] ჯგუფურად ცემის ფაქტზე, დაიწო სისხლის სამართლის N073061218004 საქმის გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით[57]; ხოლო მსჯავრდებულის განცხადებაში მითითებული სხვა პრეტენზიების შესახებ, რომელიც შეეხება პენიტენციური დაწესებულებების ცალკეული თანამშრომელთა გადაცდომებს და ე.წ „მაყურებლებთან" დაკავშირებულ საკითხებს, ინფორმირებული იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი, სადაც მიმდინარეობდა სამსახურებრივი შემოწმება.[58]

სამსახურებრივი შემოწმების მასალების[59] შესწავლის შედეგები აისახა და შეფასდა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში: *„მოცემულ სავარუდო დანაშაულებრივ ფაქტზე რეაგირება ხელოვნურად დანაწევრდა: გამოძიება მხოლოდ განმცხადებლის*

---

[54] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2018 წლის 25 სექტემბრის NMOC71800880568 წერილი.

[55] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2018 წლის 4 დეკემბრის N15-5/14951 და 2019 წლის 16 იანვრის N15-5/476 წერილები.

[56] მსჯავრდებულ [redacted] 2018 წლის 08 ნოემბრის NMOC61801008519 განცხადება.

[57] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2018 წლის 19 დეკემბრის N13/95130 და 2019 წლის 30 სექტემბრის N13/68751 წერილები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 10 ივლისის N9176 წერილი.

[58] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 3 თებერვლის N13/7486 წერილი.

[59] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2019 წლის 3 მაისის N131673/01 წერილის დანართი.

ჯგუფურად ცემის ფაქტზე დაიწყო, ხოლო ე.წ. „მაყურებლებთან" დაკავშირებულ საკითხზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. გენერალური ინსპექცია ამ შემთხვევაშიც არ დაინტერესებულა პატიმრის მიერ მითითებული საკითხების სრულყოფილი გამოკვლევით."[60]

გარდა ამისა, მსჯავრდებული მიუთითებდა N15 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, გულის დაავადებასთან დაკავშირებით დანიშნული მედიკამენტის მიუწოდებლობის გამო ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებაზე. აპარატის მიმართვის[61] საფუძველზე, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დაწესებულების ექიმის მხრიდან გამოვლინდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და მის მიმართ გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება.[62]

- ***N8 დაწესებულებაში ყოფნისას ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნა***

2018 წლის 30 აპრილიდან საშიშროების საშუალო რისკის მსჯავრდებული [redacted] კვლავ N8 პენიტენციურ - (დახურული ტიპის) დაწესებულებაში იმყოფებოდა. საშიშროების საშუალო რისკის მსჯავრდებულის განთავსება შესაძლებელია N12, N14, N15 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში.[63] 2019 წელს [redacted] უარი ეთქვა: N12 დაწესებულებაში გადაყვანაზე უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო N15, N17 და N14 დაწესებულებებში გადაყვანაზე მიზანშეუწონლობის მითითებით.[64]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 03 თებერვლის გადაწყვეტილებით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მსჯავრდებულ [redacted] N12 დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 მარტის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ[65].

- ***სასამართლოში მომხდარ ფაქტზე რეაგირება***

მსჯავრდებული [redacted] მიუთითებდა 2020 წლის 5 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხსენებული საკითხის განხილვისას, მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლის და ბადრაგის მიერ პატიმრის გაყვანის შემდეგ, პენიტენციური

---

[60] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 39-40 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf> (ბოლოს ნანახია: 12.10.2022 წელს).

[61] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2018 წლის 1 ივნისის N15-5/7608 წერილი.

[62] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2018 წლის 8 აგვისტოს NMOC71800725902 წერილი.

[63] პენიტენციური დეპარტამენტის 2018 წლის 25 სექტემბრის NMOC71800880568 წერილი.

[64] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განჩინება.

[65] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 3 აპრილის N91414/01 წერილი.

სამსახურის იურისტის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების[66] თაობაზე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად მსჯავრდებულის უფლებების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.[67] მასალების[68] შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ შემოწმება არ ჩატარდა სრულყოფილად და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების გარეშე, მხოლოდ დაინტერესებული უწყების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ახსნა-განმარტების საფუძველზე, პატიმრის საჩივარზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის გარეშე დასრულდა დაუსაბუთებელი მოხსენებითი ბარათით. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა[69] სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო მონიტორინგის დეპარტამენტის მოსამსახურის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყება მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელი პირი სამსახურიდან გათავისუფლებული იყო, რის გამო, სამსახურმა ვერ შეძლო მის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყება და სახდელის დაკისრება .[70] აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია აისახა საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებასა[71] და ანგარიშში.[72]

- ***N12 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა***

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო ინსტანციამ[73] უცვლელად დატოვა, რაც პენიტენციურ სამსახურს საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია. შესაბამისად, აღსრულდა სასამართლოს გადაწყვეტილება და 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანების თანახმად მსჯავრდებული [redacted] გადაიყვანეს N12 პენიტენციურ დაწესებულებაში,[74] ხოლო 2020 წლის 01 სექტემბრის

---

[66] პატიმრის მტკიცებით, იურისტმა უთხრა, რომ საჭირო არ იყო სასამართლოზე მისი (დაშტრიხულია ვინაობა) ხსენება, რადგან მაინც ვერაფერს უშველიდა; ასევე, ყველაფერზე საჩივრის წერა „კაცური საქციელი" არ იყო; N12 დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებას სამსახური გაასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც პატიმარი უნდა დათანხმებოდა სამსახურის სააპელაციო საჩივარს და უარი ეთქვა N12 დაწესებულებაში გადასვლაზე, თორემ შესაძლოა, „ბათუმის ციხეში" აღმოჩენილიყო და „გლდანი მოენატრებოდა". იურისტმა, ასევე, მიაძახა „ფუ, შენს კაცობას!".

[67] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2020 წლის 8 ივლისის N164076/01 წერილი.

[68] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 17 მაისის N112976/01 წერილი.

[69] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 9 ივლისის N15-5/6691 წინადადება.

[70] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 21 ივლისის N170516/01 წერილი.

[71]საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 სექტემბრის საჯარო განცხადება იხ. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-generaluri-inspektsiebis-mushaobas-kvlav-araefektianad-miichneys> (ბოლოს ნანახია: 12.10.2022 წელს).

[72] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიშ, გვ. 75 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> (ბოლოს ნანახია: 12.10.2022 წელს).

[73] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება.

[74] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 13 ოქტომბრის N248832/01 წერილი.

ბრძანებით - დააბრუნეს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში და პატიმრის უსაფრთხოებიდან გამომდინარე მისი გადაყვანა N12 დაწესებულებაში არ იგეგმებოდა.[75]

მსჯავრდებული [redacted] მიუთითებდა 2020 წლის 01 სექტემბერს N12 პენიტენციურ დაწესებულებაში მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის თაობაზე.[76]

N12 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულ [redacted] ჯგუფურად ცემის ფაქტზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის N086010920003 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით. 3 მსჯავრდებულს წარედგინა ბრალდება ცემის ფაქტზე, ხოლო 8 მსჯავრდებულს - ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ცალკე წარმოებად გამოიყო 2 საქმე (3 მსჯავრდებულის მიმართ - მსჯავრდებულ [redacted] ჯგუფურად ცემის ფაქტზე; 8 მსჯავრდებულის მიმართ - ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტზე) და არსებითად განსახილველად წარიმართა სასამართლოში.[77] პატიმრის საჩივარში მითითებულ გარემოებებთან მიმართებაში ტარდებოდა საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის N12 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების ქმედებებთან დაკავშირებით.[78] ბოლო ინფორმაციით, საქმეზე გრძელდებოდა გამოძიება და მოცემულ ეტაპზე სამოხელეო დანაშაულის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.[79]

მოცემულ საკითხზე, როგორც პატიმართა შორის ძალადობის პრობლემაზე, ყურადღება გამახვილდა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში.[80]

- *რისკების გადაფასების საკითხი*

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 სექტემბერს გადაწყვეტილებით, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს დაევალა [redacted] მიმართ საშიშროების რისკის გადაფასების პროცედურის წარმართვა. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.[81] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოზიციით, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მოკლებულია აღსრულების შესაძლებლობას.[82] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.[83]

---

[75] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 18 სექტემბრის N226856/01 წერილი.
[76] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 9 სექტემბრის N15-5/8879 წერილი.
[77] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2020 წლის 9 ოქტომბრის N13620, 2020 წლის 1 დეკემბრის N15570 და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2022 წლის 11 აგვისტოს N11001 წერილები.
[78] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 27 აპრილის N13/25040 წერილი.
[79] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2022 წლის 11 აგვისტოს N11001 წერილი.
[80] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, გვ. 40-41 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf> (ბოლოს ნანახია: 12.10.2022 წელს).
[81] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 8 დეკემბრის განჩინება.
[82] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2022 წლის 22 თებერვლის N50594/01 წერილი.
[83] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 30 სექტემბრის განჩინება (საქმე Nბს-107(კ-22).

მოცემული საქმის ანალიზი

მსჯავრდებულ [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარი ეთქვა მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს დადებითი დახასიათება, არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი, მოტივირებულია, კარგი ურთიერთობით გამოირჩევა თანამშრომლებთან და პატიმრებთან, აქვს პროფესია, განათლება, ოჯახი და საცხოვრებელი ადგილი, წახალისებულია რამდენჯერმე. საბჭო უარის მიზეზად დანაშაულის ხასიათს, სიმძიმეს, დანაშაულთა ერთობლიობას და წარსულში ნასამართლობის ფაქტებს ასახლებს და დამატებით სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის არქონის ფაქტებზეც მიუთითებს.

საგულისხმოა, რომ [redacted] გასამართლებულია მძიმე დანაშაულისთვის: თაღლითობა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შენახვა გამოყენების მიზნით და ეს უკანასკნელი დანაშაული, განაჩენის მიხედვით, თაღლითობის ჩადენის ხერხს წარმოადგენს. შესაბამისად, სახეზეა იდეალური ერთობლიობით შემთხვევა და სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებაც ამას ადასტურებს. ეს დანაშაულები ეკონომიკური და მმართველობის წესის წინაღმდეგ მიმართულ დანაშაულებს მიეკუთვნება. ამასთან, სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ კომპანიის დირექტორის ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სარჩელი, რომლის თანხის თაღლითურად დაუფლებისთვის მსჯავრდებულია [redacted]

რაც შეეხება წარსულში ნასამართლობის ფაქტებს, საბჭოსვე ინფორმაციით, 1996 წელს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის სასჯელი მოხდილი აქვს და ნასამართლობა მოხსნილი. ხოლო ქმედება, რომლისთვისაც 2014 წელს გასამართლდა ნაკლებად მძიმე, არაძალადობრივ დანაშაულს - ყალბი დოკუმენტის დამზადება წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ [redacted] 2018 წლის მარტიდან დადგენილი აქვს სამიშროების საშუალო რისკი, რაც მის ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში განთავსების უზრუნველყოფას მოითხოვს. თუმცა 2018 წლის 19 მარტიდან - 30 აპრილამდე N15 პენიტენციურ (ნახევრად ღია ტიპი) დაწესებულებაში ყოფნისას მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობს, ამავე პერიოდში პატიმრისთვის მედიკამენტის მიუწოდებლობის გამო ექიმს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. ხანმოკლე პერიოდის შემდეგ პატიმარი კვლავ N8 დახურული ტიპის დაწესებულებაში გადაიყვანეს. 2020 წელს მსჯავრდებულმა სასამართლო წესით მოიპოვა ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის უფლება. საგულისხმოა პატიმრის მითითებულ საკითხზე - სასამართლოში პენიტენციური სამსახურის იურისტის მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედების ფაქტზე არასრულყოფილი სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებაც.[84] 2020 წლის 31 აგვისტოს N12 ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, მე-2 დღეს [redacted] მიმართ კვლავ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, რისთვისაც

[84] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 9 ივლისის N15-5/6691 წინადადება, საჯარო განცხადება იხ. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-generaluri-inspektsiebis-mushaobas-kvlav-araefektianad-miichnevs> ბოლოს ნანახია: 2022 წლის 29 ოქტომბერს.

რამდენიმე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, თუმცა პატიმარი კვლავ N8 დახურული ტიპის დაწესებულებაში დააბრუნეს, სადაც დღემდე იმყოფება. მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებული სასამართლო წესით ითხოვს მისი რისკების გადაფასებას, რომ შეძლოს დაბალი რისკის დაწესებულებაში გადასვლა, სადაც სოციალური აქტივობა, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამაა პატიმრისთვის ხელმისაწვდომი.

N8 პენიტენციური დაწესებულება პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა,[85] რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა დაწესებულებაში კულტურული, რელიგიური, სპორტული და სხვა სოციალური აქტივობების ორგანიზება, დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით.[86] მისგან განსხვავებით, N16 პენიტენციური დაწესებულება არის დაბალი რისკისა და გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,[87] რომლის ფუნქციებია: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და გეგმის შესაბამისად სასჯელის მოხდის ორგანიზება და გეგმის ფარგლებში მსჯავრდებულთათვის შრომის, განათლების ან/და სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობის შექმნა; მსჯავრდებულთა ინტერესების, პოზიტიური პოტენციალის გამოვლენა, შეფასება და ამაღლება; მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის და საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მომზადება; დაწესებულებაში კულტურული, რელიგიური, სპორტული და სხვა სოციალური აქტივობების ორგანიზება.[88]

საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებს მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო აქტივობების თვალსაზრისით არსებულ პრობლემაზე:

- დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით, განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა დახურული ტიპის დაწესებულებებში. კერძოდ, N2 და N8 დაწესებულებებში მყოფი პატიმრებისთვის დღის მანძილზე, სუფთა ჰაერზე სასეირნოდ განსაზღვრულია მხოლოდ 1 საათი. ისინი არ არიან ჩართული რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობაში და განიცდიან კომუნიკაციის დეფიციტს. საინტერესო და თავშესაქცევი აქტივობების გარეშე

---

[85] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანების დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

[86] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანების დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი.

[87] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის N71 ბრძანების დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[88] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 15 ივლისის N71 ბრძანების დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ", „კ", „ს" და „ტ" ქვეპუნქტები.

საკანში 23 საათი ყოფნა ამ პატიმრებში აძლიერებს პროტესტის, უსამართლობისა და უიმედობის განცდას, რაც დამატებით პრობლემებს აჩენს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით[89];

- 2019 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის კუთხით არსებითი ხასიათის ცვლილებები არ განხორციელებულა, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს კვლავ ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე[90];
- პენიტენციურ სისტემაში წლების განმავლობაში გამოწვევას წარმოადგენდა პატიმართა რეაბილიტაცია–რესოციალიზაცია. 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, პენიტენციურ დაწესებულებებში უკიდურესად შეიზღუდა რესოციალიზაცია–რეაბილიტაციის კუთხით გატარებული ღონისძიებები და არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა[91];
- სახალხო დამცველი ასევე მოითხოვდა სარეაბილიტაციო აქტივობებში მსჯავრდებულთა ჩართვის შესაძლებლობების გაზრდას. 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, შეიმჩნეოდა რესოციალიზაცია–რეაბილიტაციის კუთხით მდგომარეობის მცირედით გაუმჯობესების ტენდენცია. დახურული და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს, არათუ სასარგებლო და მიზანმიმართულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ, არამედ სასეირნოდაც კვლავ მხოლოდ 1 საათამდე დროით გაჰყავდათ.[92]

ამდენად, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N8 დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდებული განთავსებულია დღემდე, პრობლემას წარმოადგენს სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება. სოციალურ აქტივობებში მსჯავრდებულის მონაწილეობის სურვილი ცალსახად იკვეთება მის სარჩელებსა და განცხადებებში. სწორედ ამ მიზნით ითხოვდა მსჯავრდებული რისკების გადაფასების პროცედურის წარმართვას სასამართლო წესით, რომ დაბალი რისკის დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობა ჰქონოდა, სადაც სარეაბილიტაციო და სოციალური აქტივობებისთვის მეტი სივრცეა.

დასკვნა

ვიმედოვნებ, თბილისის საქალაქო სასამართლო ჯეროვნად იმსჯელებს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას განსახილველ საკითხებზე.

მსჯავრდებულისთვის გასაგები უნდა იყოს, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულებისა, კიდევ რა დადებით ქცევას ელის მისგან ადგილობრივი საბჭო. მხოლოდ ჩადენილი დანაშაულებისთვის განმეორებითი „დასჯა“ არ არის საბჭოს მანდატი. საბჭოს

---

[89] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში პრევენციის ეროვნული მექანიზმი N2, N8, N14 და N15 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2019 წელი, გვ. 35-38 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019121618092132463.pdf> (ბოლოს ნანახია: 2022 წლის 29 ოქტომბერს).

[90] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 61-64 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020033122424787329.pdf> (ბოლოს ნანახია: 2022 წლის 29 ოქტომბერს).

[91] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, გვ. 78-81 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021111112020776878.pdf> (ბოლოს ნანახია: 2022 წლის 29 ოქტომბერს).

[92] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში გვ. 80-85 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf> (ბოლოს ნანახია: 2022 წლის 29 ოქტომბერს).

გადაწყვეტილება და მოტივაცია მოსალოდნელი ქცევის მიმართულებითაც უნდა იყოს გამჭვირვალე.

ვინაიდან გარემოებების სწორი სამართლებრივი გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, ხელს შეუწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტის დამკვიდრებას, დადებით გავლენას მოახდენს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის და კანონმორჩილი ცხოვრებისკენ დაბრუნებაში, მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16[1] მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი